სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080163212548623

№ 1371 02 / მაისი / 2023 წ.

შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 28 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ SMP230001241 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია ფარმაცევტული პროდუქტი, კერძოდ, Metronidazole ხსნარი საინფუზიო 0.5% 100მლ (CPV - 33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები), ღირებულებით 378 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ფარმაცევტული პროდუქტის, კერძოდ, Metronidazole მეტრალინი ხსნარი საინფუზიო 0.5% 100მლ #1-ის შესყიდვის მიზნით, გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის (CON220000447) ფარგლებში, გამარჯვებულ მიმწოდებელთან, სს „გეფასთან“ გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N26 ზემოხსენებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, განხორციელებული მოთხოვნის მიუხედავად, მიმწოდებელს დღემდე არ განუხორციელებია ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მოწოდება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გამოგზავნილი იქნა შეტყობინება, რომლითაც შემსყიდველ ორგანიზაციას ამცნობს, რომ მოწოდების სავარაუდო პერიოდმა გადაიწია მაისის თვის ბოლომდე და ამ ეტაპზე, ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნილი საქონლის მოწოდებას. ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ვინაიდან, ამ ეტაპზე, შეუძლებელია კონსოლიდირებული ტენდერის (CON220000447) ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ საქონლის მოწოდება, ხოლო, დღეის მდგომარეობით, კლინიკის აფთიაქში ხსენებული ფარმაცევტული პროდუქტის მარაგი იწურება, საავადმყოფო იძულებულია საქონლის შესყიდვა განახორციელოს გადაუდებელი აუცილებლობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეფერხდება საავადმყოფოს ფუნქციონირება.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, ფარმაცევტული პროდუქტის, კერძოდ, Metronidazole მეტრალინი ხსნარი საინფუზიო 0.5% 100მლ #1-ის შესყიდვის მიზნით, გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის (CON220000447) ფარგლებში, გამარჯვებულ მიმწოდებელთან, სს „გეფასთან“ გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N26 ზემოხსენებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, განხორციელებული მოთხოვნის მიუხედავად, მიმწოდებელს დღემდე არ განუხორციელებია ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მოწოდება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გამოგზავნილი იქნა შეტყობინება, რომლითაც შემსყიდველ ორგანიზაციას ამცნობს, რომ მოწოდების სავარაუდო პერიოდმა გადაიწია მაისის თვის ბოლომდე და ამ ეტაპზე, ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნილი საქონლის მოწოდებას. ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ვინაიდან, ამ ეტაპზე, შეუძლებელია კონსოლიდირებული ტენდერის (CON220000447) ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ საქონლის მოწოდება, ხოლო, დღეის მდგომარეობით, კლინიკის აფთიაქში ხსენებული ფარმაცევტული პროდუქტის მარაგი იწურება, საავადმყოფო იძულებულია საქონლის შესყიდვა განახორციელოს გადაუდებელი აუცილებლობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეფერხდება საავადმყოფოს ფუნქციონირება.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია გადაუდებელი აუცილებლობის აღმოსაფხვრელად საჭირო კრიტიკული მოცულობის შესყიდვა განხორციელდეს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნეს შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ SMP230001241 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე